საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

MES 2 23 0001384709

17/10/2023

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2022 წლის 30 აგვისტოს №964009 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის" მე-4 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2023 წლის 16 ოქტომბრის №1381513 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა შერჩევის მიზნით.
2. კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადის წარდგენის ვადა განისაზღვროს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე - (www.hr.gov.ge) კონკურსის გამოცხადებიდან 30 კალენდარული დღის ვადით - 2023 წლის 23 ოქტომბრიდან 2023 წლის 23 ნოემბრამდე.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
ა) მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
ბ) არანაკლებ სამწლიანი სამუშაო გამოცდილება უმაღლესი განათლების სფეროში;
გ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (MS Office: Word, Excel) ცოდნა;

დ) ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე;
ე) „ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG)“ 2015 წლის დოკუმენტისა და განათლების სფეროსთან დაკავშირებული შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:
ე.ა) „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
ე.ბ) „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი;
ე.გ) „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება;
ე.დ) „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანება;
ე.ე) ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება;
ვ) გუნდური მუშაობისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
ზ) პრობლემების გადაწყვეტის უნარი;
თ) ინფორმაციის ანალიზის უნარი;
ი) მონაცემების შეგროვების, შეფასებისა და დასკვნის ჩამოყალიბების უნარი;
კ) სხვების საქმიანობაზე პასუხისმგებლობის აღების უნარი;
ლ) საკუთარი სწავლების დამოუკიდებლად წარმართვის უნარი.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტის მიერ შესასრულებელ სამუშაოს წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესში საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება უმაღლესი განათლების სფეროში მოქმედ სამართლებრივ რეგულაციებთან მიმართებით.
5. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა შერჩევის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატი ვალდებულია:
ა) კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადი - ავტობიოგრაფია (CV) წარმოადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის - www.hr.gov.ge - მეშვეობით;
ბ) შესაბამის გრაფაში ატვირთოს ამ ბრძანების მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი;
გ) მიუთითოს 2 რეკომენდატორის ვინაობა (სახელი, გვარი, სამუშაო ადგილი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი).
6. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა შერჩევის მიზნით გამოცხადებული კონკურსის ეტაპებად განისაზღვროს:
ა) ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ღია კონკურსის გამოცხადება;
ბ) განაცხადის წარდგენა, რომელსაც უნდა დაერთოს კვალიფიკაციის/განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი, ავტობიოგრაფია (CV) ორი რეკომენდატორის მითითებით 2023 წლის 23 ოქტომბრიდან 2023 წლის 23 ნოემბრამდე;
გ) წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა და გადარჩევა შესაბამისი მოთხოვნების გათვალისწინებით 2023 წლის 24 ნოემბრიდან 2023 წლის 15 დეკემბრამდე;
დ) ტრენინგების ჩატარება 2024 წლის 22 იანვრიდან 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით;
ე) კანდიდატთა ტესტირება 2024 წლის 12 თებერვლიდან 2024 წლის 23 თებერვლის ჩათვლით;

ვ) ტესტირების შედეგების ინდივიდუალურად გაცნობა 2024 წლის 04 მარტიდან 2024 წლის 08 მარტამდე;
ზ) გასაუბრება (გასაუბრების ეტაპზე გადავლენ ის კანდიდატები, რომელთაც ტესტირების ეტაპზე მიიღეს ტესტირებისთვის განკუთვნილი მაქსიმალური ქულის არანაკლებ 70%.) 2024 წლის 25 მარტიდან 2024 წლის 12 აპრილის ჩათვლით;
თ) ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შერჩეულ კანდიდატთა შეყვანა ექსპერტთა კორპუსში - 2024 წლის 31 მაისის ჩათვლით.
7. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა შერჩევის მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისია (შემდგომში - კომისია) საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით.
8. კომისიის მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია: საქართველო, თბილისი 0193, მ. ალექსიძის ქ. №1; ტელეფონი - (+995 32) 2 200 220.
9. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს კონკურსის გამოცხადება საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე - www.hr.gov.ge და კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაციის განთავსება ცენტრის ვებგვერზე.
10. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს შემოსული განაცხადების გადარჩევა (საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა) და საკონკურსო კომისიისთვის შედეგების წარდგენა.
11. დაევალოს ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს სატრენინგო მოდულის, მასალის, ტესტირების საკითხებისა და შეფასების კრიტერიუმების მომზადების უზრუნველყოფა.
12. დაევალოს ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს კონკურსში მონაწილე კანდიდატებისთვის ტრენინგების ჩატარება და ტესტირების ეტაპზე კონკურსანტთა ნაშრომების შეფასება.
13. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge - გამოქვეყნების უზრუნველყოფა.
14. დაევალოს ცენტრის ადამინური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
15. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ